ცნობის ფურცელი

№ 2576 პარასკევი, 6 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2576

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღესასწაულისა გამო „ცნობის ფურცლის" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 აგვისტოს

საფაბრიკოსაწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. **ტელეფონი № 679.** (0—153)

გორის სომეხთა ეკლესიების ბლაღოჩინი იწვევს ქვით ნაშენ წმ. სტეფანის ეკლესიის მრევლს, კვირას,—აგვისტოს 8-სა დღესა, წირვის შემდეგ, დაესწრონ მეორე კრებას მღვდლის შვილის დიაკვანის ჰრაჩია ტერ-გევორქას-ძის აბულიანცის იმავე ეკლესიაში **შტატის მთავრად** მისაღებად.

ბლაღოჩინი დეკანოზი ტერ-ედიშე ტერ-სააკოვი. (1—1)

ქუთაისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან მიიღო **ს. ბ. თოფურიას საავადმყოფო** ამბულატორიით, რომელიც დაიწყებს მოქმედებას 7 აგვისტოდან ამა **1904 წ.** იმავე პირობებით, რა პირობებითაც იგი მოქმედებდა ს. ბ. თოფურიას სიცოცხლეში. საავადმყოფო და ამბულატორია მოთავსებული იქნება განსვენებულ თოფურიას სახლში. (10—1)

ქუთაისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **იმ პირველ დასაწყის ახალ სასწავლებლებში**, რომელთაც წელს აარსებს ქალაქი, ერთი სასწავლებელი გაიხსნება გაღმა ვაჟთათვის და მეორე—გამოღმა ქალებისათვის. თხოვნები უნდა შეტანილ იქნას **ქალაქის გამგეობაში 1 აგვისტოდან ამა 1904 წლისა.** (5—6.—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ხალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

აჩ. მ. ხოზოლეიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

მ. ა. გეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ძ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემ. იწმენდა ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლეიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით, კრავატები სამი მანეთიდახუთამდე.

ადრესი: ქუქია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.)

ტელეფონი № 274.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო

მუკდენი. (საკუთ. კორ.). ამ დღეებში აქ გაიარა პორტ-არტურიდან წამოსულმა 92 კაცმა თავის ოჯახებით. ეს უკანასკნელი პარტია გამოუშვეს იაპონელებმა და გამოაცხადეს, ამის შემდეგ ყველა ნავებს დავლეწავთ და ყველას სამხედრო ტყვეებად ჩავთვლითო. ალყა-შემორტყმულთა სულიერი განწყობილება ჩინებულია: ისინი მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მტერს. მოქალაქენი მეციხოვნე ჯარში შედიან სალდათებად.

პარიზი დელკასსეს განკარგულებით, 2 აგვისტოს ტოკიოში გაიგზავნა ნოტა რუსეთის მთავრობის პროტესტით ნაღმიან გემის „რეშიტელნი"-ს დაჭერის გამო. სრული საბუთებია ვიფიქროთ, რომ ეს საკამათო საკითხი გადაწყდება დაუბრკოლებლად დიპლომატიურის გზით.

ლონდონი. („რეიტ. საგ."). შეკითხვაზე ბალფურმა უპასუხა, მთავრობას საბუთები აქვს იფიქროს, რომ გემები, რომელთა გადაკეთება კრეისერებად შესაძლებელია, აღარ გამოვლენ შავის ზღვიდან და აღარ დალეწავენ სანეიტრალო გემებსაო.

ნაგასაკი. („რეიტ. საგ."). ფოსტა, რომელიც რუსებმა წაიღეს გემ „პრინც ჰენრიხ"-დან წითელ ზღვაში, მოიტანეს ნაგასაკში, გახსნეს და დაათვალიერეს საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის კონსულების თანადასწრებით.

ბერლინი. („ვოლფ. საგ."). გუბერნატორი ტრუმფელი ცინდაოდან იუწყება, რომ იაპონიის კონტრ-ნაღმიანი გემი „აკასუში" შევიდა ნავთსადგურში 3 აგვისტოს დილის 10 საათზე. ამ გემზე მყოფ ადმირალ დევას ფლაგ-ოფიცერს შეატყობინეს, რომ რუსეთის სამხედრო გემები იარაღ-აყრილიაო. გუშინ შუადღეს ეს კონტრ-ნაღმიანი გემი ისევ წავიდა ზღვაში. იაპონიის სამხედრო გემები ნაშუადღევის 2 საათზე მიიმალნენ ჰორიზონტიდან.

5 აგვისტო

ლონდონი. („რეიტ. საგ."). აიაჩიოდან მიღებულ „ლოიდ"-ის დეპეშის თანახმად, ნახშირის მზიდავი ინგლისელთა გემი „სკოტიონი" იუწყება, რომ 30 ივლისს, გიბრალტარის სრუტის დასავლეთით, შეაჩერა რუსის კრეისერმა „ურალ"-მაო. შემდეგ „სკოტიონ"-ს გზის განგრძობის ნება მიულია. „ურალ"-ის უფროსს უთქვამს, დავეძებ 400-ზე მეტ გემს კონტრაბანდით, რომლის გადატვირთვასაც იტალიისა და ესპანიის ნავთსადგურებში ჰფიქრობენო.

პარიზი. როგორც ტოკიოდან იუწყებიან, ადმირალ კამიმურას ზომები მიუღია გზას შესაკვრელად რუსის გემის „ნოვიკ"-ისათვის, რომელიც ვლადივოსტოკს მიდის. მაგრამ გემის უფროსმა, მგონი, კარგად უნდა იცოდეს, სად არიან იაპონიის გემები. გუშინ „ნოვიკი" ციანჯოუდან დაუბრკოლებლად ჩრდილოეთისკენ წავიდა. იაპონელებმა კრეისერი ძალიან გვიან შენიშნეს.

ტოკიო. („რეიტ. საგ".). ტოგო იუწყება, რომ 28 ივლისს საზღვაო ბრძოლაში იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 225 კაციო.

პარიზი. ტიანძინიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, პორტ-არტურიდან სულ ერთიან წასულან კერძო ხალხი და სამოქალაქო მოხელენი. ციხეში სულ 500 ქალია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. უცხოეთის გაზეთები ირწმუნებიან, გენ. კუროპატკინმა დიდი სამხედრო თათბირი მოახდინა ლიაოიანშიო. ამ თათბირის დროს გადასწყვიტეს, ლიაოიანს უბრძოლველად ნუ დავანებებთ იაპონელებსაო. რუსის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, ლიაოიანი ისე კარგადაა გამაგრებული, რომ იაპონელებს ძლიერ გაუჭირდებათ იმისი აღებაო. („რ. ლ.").

„ჰავასის სააგენტოს" პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. ლინევიჩი თავის ჯარით გაჩქარებით მიდის გენ. კუროპატკინის საშველადაო. როცა იაპონელები ლიაოიანს დაეცემიან, გენ. ლინევიჩი ზურგიდან მოექცევა გენ. კუროკის არმიასაო. („ნ. დ.").

ინგლისურ გაზეთებში დაწვრილებითაა აწერილი 18 ივლისს იანზელინთანა და უშულინთან მომხდარი ბრძოლა. ამ ბრძოლის შემდეგ გენ. კუროკისა და გენ. კუროპატკინის ჯარებ შუა მხოლოდ ერთი გამაგრებული პოზიცია დარჩა. ამ ბრძოლით გენ. კუროკი 10 მილის მანძილზე დაუახლოვდა ლიაოიანსაო. იაპონელები ამბობენ, ეს ბრძოლა ნამდვილი ბრძოლა იყო და არა მოწინავე რაზმების შეტაკება, როგორც რუსები ირწმუნებიანო. („ნ. დ.").

„დეილი მეილ"-ს ატყობინებენ ნიუჩუანიდან: აქ 2 ათასი ჩინელი მუშა მუშაობს; იაპონელები სურსათის საწყობებს აშენებენ ჯარისათვის; იაპონიიდან მოსულ გემებს დღე და ღამ სცლიან. გემებმა მასალა მოიტანეს ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის ასაშენებლად. ამ გზას ხელად აშენებენ. რაკი რკინის გზას გაიყვანენ, მერე სამხედრო მოქმედება უფრო ფიცხად წავა. იაპონიის კონსულად ნიუჩუანში გენ. იჟუინი დაინიშნაო. („ნ. დ.").

„რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: იაპონელებმა დიდი ჯარი გაგზავნეს საიმაძიდან მუკდენის გზაზეო.

ნამესტნიკი ალექსეევი მუკდენიდან დროებით ხარბინს წავიდა. ამ დროს მუკდენის ძიანძიუნმა (გუბერნატორმა) ბძანება გამოსცა: იაპონელები კეთილი ხალხია, არავის არას დაუშავებენ, ჩინელების მეგობრები არიან და არა მტრები. ყველამ თავისი საქმე განაგრძოს: ვაჭრებმა ივაჭრონ, ხელოსნებმა ქარხნებში იმუშავონ, სოფლელებმა ყანებშიო. ეს ბძანება მუკდენის ქუჩებში გააკრეს. ჩინელებმა იაპონელების დასახვედრად მზადება დაიწყეს—ქუჩებში თოკები გააბეს დროშებისათვის. მაგრამ რუსებმა მალე შეიტყეს ეს ამბავი, სასტიკი ღონისძიება მიიღეს და ჩინელები ხელად დააშოშმინეს. („რ. ს.").

იაპონიის მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ეწერა: ეტყობა, რუსის ესკადრის დანარჩენი ნაწილი პორტ-არტურში დაბრუნდაო. ამის თაობაზე „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი პ. კ. შეჰნიშნავს: იაპონური ოფიციალური ცნობა აქამდე ყოველთვის მართლდებოდა. ამიტომ ამ ცნობასაც დავიჯერებდით, მაგრამ დეპეშებიდან სჩანს, რომ 30 ივლისს ტოკიოშიაც არ იცოდნენ ბეჯითად, რა იქმნა რუსის ესკადრის დანარჩენი ნაწილიო. („ნ. დ.").

პორტ-არტური. პორტ-არტურის კომენდანტს გენ. სმირნოვს (გენ. სტესელს მთელი კვანტუნის ნახევარ-კუნძულის ჯარი აბარია) 18 ივლისს შემდეგი ბძანება გამოუცია:

„პორტ-არტურის ქველნო დამცველნო! დადგა წამი, როცა ჩვენ ყველამ შეერთებულის ძალით პორტ-არტური უნდა დავიცვათ. ჩვენ დიდებულ ხელმწიფესა და საერთო დედა-სამშობლო რუსეთს მტკიცე იმედი აქვთ, რომ ჩვენს წმინდა მოვალეობას თავგანწირულად შევასრულებთ. ყოველმა ჩვენგანმა წმიდა ფიცის სიტყვები გაიხსენოს და ისე იბრძოლოს, როგორც ჩვენი მამა-პაპა იბრძოდა. მტერს ერთ ფეხის გადადგმა ადგილსაც ნუ დავანებებთ. თავი გამოვიდოთ ჩვენის სამშობლოსათვის და მტერი სასტიკად დავსაჯოთ. ღმერთია ჩვენი შემწე! ეს ბძანება ყველა როტასა, ბატარეიასა და რაზმს წაეკითხოს". („რ. ვ.").

„მორნინგ პოსტ"-ს ატყობინებენ შანხაიდან: გემ „რეშიტელნი"-ზე ორი ქალი იყო; ეს ქალები იქნება გენ. სტესელის ცოლი და ქალიშვილი იყვნენო. („ნ. დ.").

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: პორტ-არტურთან ხმელეთზე 27 ივლისს დიდი ბრძოლა დაიწყო და 28 ივლისის დილის 11 საათამდე გასტანა. რუსებს მეტად დიდი ზარალი მოუვიდათო. („მ. ვ."),

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: იაპონელებმა მგლის გორა დაიჭირეს, ზედ დიდი საალყე ზარბაზნები დადგეს და ნავთ-სადგურსა და სამხედრო გემებს ზარბაზანი დაუშინეს. რუსის ფლოტს საქმე გაუჭირდა, შიდა რეიდზე დგომა აღარ შეეძლო და ზღვაში გავიდა. მგლის გორა პორტ-არტურის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, ვეფხვის ნახევარ კუნძულის ახლო და შიდა რეიდს მაღლიდან დაჰყურებს. მგლის გორა ისე ახლოა ქალაქზე, რომ ზარბაზანი ციხესა, ქალაქსა და ნავთ-სადგურს ლამაზად სწვდება. სანამ ეს გორა იაპონელების ხელთაა, ციხეს საქმე გაჭირვებული ექმნება და რუსის ფლოტი ნავთ-სადგურში ვეღარ დადგებაო. („ნ. დ.").

„მატენ"-ის კორესპონდენტი გასტონ ლერუ დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან: ის ცნობა, რომ რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი „ლეიტენანტ ბურაკოვ"-ი დაიღუპაო, გამართლდა. „ბურაკოვ"-ი ზღვაში გასულიყო რუსის მეციხოვნე ჯარის დასახმარებლად, იაპონელებს ნაღმი ესროლათ და ჩაეძირათო. („ნ. დ.").

ფლოტის ბრძოლა, 28 ივლისს. 28 ივლისს დილით რუსის ესკადრა ადმირალ ვიტგეფტის უფროსობით პორტ-არტურიდან გავიდა და ვლადივასტოკისაკენ გაემართა. ადმირალ ვიტგეფტსა ჰყავდა: ჯავშნიანი გემები „ცესარევიჩ"-ი, „რეტვიზან"-ი, „პობედა", „სევასტოპოლ"-ი, „პერესვეტ"-ი და „პოლტავა", პირველ რანგის კრეისერები „ასკოლდ"-ი, „დიანა" და „პალადა", მეორე რანგის კრეისერი „ნოვიკ"-ი და 8 ნაღმიანი გემი. რუსის ესკადრა დილის 7 საათზე გავიდა, 2 საათს ნაღმების ძებნას მოუნდა და 9 საათზე სამხრეთისაკენ გაემართა. პორტარტურთან იაპონელებს 11 კრეისერი და 17 ნაღმიანი გემი ედგათ. იაპონელებმა უკან დაიხიეს და ნაშუადღევის 1 საათზე რუსის ესკადრა ადმირალ ტოგოს ესკადრასთან მიიყვანეს. ტოგოს ფლოტი თითქმის ერთი-ორად ძლიერ იყო რუსის ფლოტზე, ამიტომ იაპონიის ფლოტი დაედევნა რუსის ფლოტს. რუსის ესკადრა კილვატერის რიგზე გამწკრივებული (წეროებივით, ერთი-მეორის შემდეგ) მიდიოდა. წინ ალბად ადმირალის გემი „ცესარევიჩ"-ი და კრეისერები მიდიოდნენ, „ნოვიკ"-ი და ნაღმიანი გემები ან წინ ან გვერდზე იდგებოდნენ. დანარჩენი ჯავშნიანი გემები ალბად უკან მისდევდნენ. როგორც ადმირალ მატუსევიჩის მოხსენებიდან სჩანს, ბრძოლა 1 საათზე დაიწყო. 40 წამის ბრძოლის შემდეგ რუსის ესკადრა შანდუნისაკენ, გაემართა, მაგრამ ადმირალი ტოგო საღამოს 6 საათზე ისევ მოეწია რუსის ესკადრას. გაიმართა გამწვავებული ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს პატარა ზარბაზნებს გარდა, 355 დიდი მძიმე საზღვაო ზარბაზანი სჭექდა რამდენსამე საათს. რუსებს ესკადრის უფროსი ადმირალი ვიტგეფტი მოუკლეს და გემები ძლიერ დაუზიანეს. იაპონელებმა, ეტყობა, შუაზე გაარღვიეს რუსის ესკადრა. „ცესარევიჩ"-ი, „ასკოლდ"-ი, „ნოვიკ"-ი, ნაღმიანი გემები და იქნება „პალადა"-ც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მოექცნენ და სამხრეთისაკენ გაემართნენ; ჯავშნიანი გემები „რეტვიზან"-ი, „პობედა", „პოლტავა", „სევასტოპოლ"-ი და „პერესვეტი"-ი და კრეისერი „დიანა" უკან დარჩნენ და, როგორც სჩანს, ადმირალ თავად უხტომსკის უფროსობით პორტ-არტურისაკენ გაემართნენ. იაპონელები თან დაედევნენ რუსის გემებს. მალე დაღამდა. ადმირალ ტოგოს ბრძანებით ნაღმიანმა გემებმა იერიში მიიტანეს რუსის გემებზე... „ცესარევიჩ"-ი ვლადივოსტოკისაკენ გაემართა, მაგრამ კაპიტანმა მალე შეატყო, რომ დაზიანებული გემი დიდ მანძილს ვერ გაივლიდა, სამხრეთისაკენ, გერმანიის კოლონიისაკენ გაემართა და მეორე დღეს, საღამოს 9 საათზე ცინდაოს პორტში მივიდა. კრეისერი „ნოვიკ"-ი და ნაღმიანი გემები „ბეზშუმნი", „ბეზპოშჩადნი" და „ბეზსტრაშნი"-ც იქ მივიდნენ. „ნოვიკ"-მა ქვა-ნახშირი დაუდო და 24 საათის შემდეგ შანხაისაკენ წავიდა, იქიდანაც კანონიერ ვადაზე გავიდა და როგორც ამბობენ, ვლადივოსტოკისაკენ გასწია. კრეისერი „ასკოლდ"-ი კონტრ-ადმირალ რეიცენშტეინის უფროსობით და ნაღმიანი გემი „გროზოვოი" შანხაიში მივიდნენ; „ასკოლდ"-ი დაზიანებული ყოფილა და დოკში შესულა შესაკეთებლად, „გროზოვოი"-კი რუსის იარაღ დაყრილ კანონირ გემ „მანჯურ"-ის გვერდზე დამდგარა... ნაღმიანი გემი „ბურნი" შანდუნის ახლო კლდეს დასჯახებია; ლეიტენანტ ტირკოვს „ბურნი" აუფეთქებია, თავის მეზღვაურებით ვეიხავეიში მისულა და იქ ინგლისის ბაირაღს შეჰფარებია (ვეიხავეი ინგლისის სამფლობელოა). ნაღმიანი გემი „რეშიტელნი" ნეიტრალურ პორტში ჩიფუში შესულა, იაპონელები შეჰყოლიან თანა და ბუქსირით ელიოტის კუნძულებისაკენ (ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულისაკენ) წაუყვანიათ. მაგრამ იქნება „რეშიტელნი" 28 ივლისის ბრძოლას არ დასწრებოდეს; „რეშიტელნი"-ს უფროსი ლეიტენანტი როშჩაკოვსკი სწერდა თავის მოხსენებაში, პორტ-არტურიდან 29 ივლისს გამოველ პორტის უფროსის ადმირალ გრიგოროვიჩის ბძანებითაო...

ცინდაოში „ცესარევიჩ"-სა და სამ ნაღმიან გემს, როგორც ვიცით, გერმანელებმა იარაღი აჰყარეს; ამბობენ, კრეისერ „ასკოლდ"-სა და ნაღმიან გემ „გროზოვოი"-საც იარაღს აჰყრიან შანხაიშიო. ასე რომ ეს გემები და იმათი მეზღვაურები ომის გათავებამდე მონაწილეობას ველარ მიიღებენ ომში.

რუსის ესკადრის დანარჩენი ნაწილი,— 5 ჯავშნიანი გემი, 2 კრეისერი და 2 ან 3 ნაღმიანი გემი—რაღა იქნა და საით წავიდა? ადმირალ ტოგოს მოხსენებაში ეწერა, კრეისერი „პალადა"-ც სამხრეთისაკენ წავიდაო, მაგრამ ეს კრეისერი დღემდე არც ერთ პორტში არ შესულა. ამიტომ ჰფიქრობენ, იქნება „პალადა" ან ვლადივოსტოკისაკენ წავიდა, ან დანარჩენ გემებს პორტ-არტურისაკენ გაჰყვაო. ამასვე ამბობენ „დიანა"-ზეც. კერძო ცნობებიდან სჩანს, რომ 5 ჯავშნიანი გემი ისევ პორტ-არტურს მისულა. იაპონიის მთავრობის ოფიციალურ ცნობაშიაც ეწერა, ეტყობა, რუსის 5 ჯავშნიანი გემი ბრძოლის შემდეგ ისევ პორტ-არტურს დაბრუნდაო. იაპონლების მოდარაჯე გემებს უნახავთ, რომ "რეტვიზანი" და „პობედა" პორტ-არტურს მისულან და ნავთ-სადგურში დამდგარანო. ადმირალ ტოგოს მოხსენებიდან სჩანს, რომ „რეტვიზანი" და „პობედა" ძლიერ დაზიანებულან. ტოგო სწერდა, რუსის ყველა ჯავშნიანი გემი ძლიერ დაზიანდა, კრეისერები ნაკლებადაო; ყველაზე მეტად „რეტვიზანი„ და „პობედა" უნდა იყოს დაზიანებულიო. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: რუსის ერთი დიდი სამხედრო გემი არსადა სჩანს; ალბად, 28 ივლისს ბრძოლის დროს დაიღუპაო. მალე გავიგებთ, რა იქნა და რა მოუვიდა ამ გემებს. 4 ივლისს დეპეშამ გვაცნობა, რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან გამოვიდა და ზღვაში ადმირალ ტოგოს ესკადრას შეჰხვდაო. („რ. ლ.").

ადმირალი ტოგო სწერდა, 28 ივლისს ბრძოლის დროს იაპონიის ფლოტს სათქმელი ზარალი არ მოჰსვლიაო. დაზიანებული გემები ხელად შევაკეთეთო. სულ 225 კაცი მოგვიკლეს და დაგვიჭრესო. რუსის ფლოტის ზარალი ჯერ რიგზე არაა გამოკვლეული. ადმირალ მატუსევიჩის მოხსენებაში ეწერა: „ცესარევიჩ"-ზე ესკადრის უფროსი ადმირალი ვიტგეფტი და 3 აფიცერი მოჰკლეს და ადმირალი მატუსევიჩი და 8 აფიცერი დასჭრესო. მატროსების ზარალი არ გამოგვიკვლევიაო.

„მორნინგ პოსტ"-ს ატყობინებენ შანხაიდან: კრეისერ „ასკოლდ"-ზე ბრძოლის დროს 1 აფიცერი და 11 მატროსი მოუკლავთ და 50 აფიცერი და მატროსი დაუჭრიათ. „ასკოლდ"-ს წყალზევით სამგან აქვს გვერდი განგრეულიო. („რ. ს.").

„რეიტერის სააგენტო" იუწყება, ადმირალ ტოგოს მოხსენებაში ეწერა: რუსის 5 ჯავშნიანი გემი, ეტყობა, ძლიერ დაზიანდა. „პობედა"-ს დიდი ზარბაზანი დაუზიანდა. გემს „რეტვიზან"-ს რამდენჯერმე მოჰხვდა ყუმბარა 3,500 მეტრის მანძილიდან და, ეტყობა, ძალზე დაზიანდა. რუსის კრეისერები ნაკლებად უნდა იყოს დაზიანებული. „ბაიან"-ს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიაო. („ნ. დ.").

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა გუშინ, 5 აგვისტოს, მისის უდიდებულესობის **ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე** შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საიმპერატორო კარის მინისტრს: „ტფილისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებამ 4 აგვისტოს გადაიხადა პარაკლისი მისს იმპერატორებით უმაღლესობის ახლად დაბადებულ მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსეი ნიკოლოოზის ძისა და მთელის სამეფო სახლეულობის დღეგრძელობისათვის და ამასთან დაადგინა: 1. გამოეცხადოს მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ტფილისის მცხოვრებთა მხრივ უქვეშევრდომილესი გრძნობანი ერთგულებისა და სიყვარულისა; 2. მისი იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსეი ნიკოლოოზის ძის დაბადების აღსანიშნავად ხელ-მეორედ აღიძრას შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას პოლიტეხნიკუმი, რომელსაც ეწოდოს სახელი მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსეი ნიკოლოოზის ძისა; პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის საჭირო თანხის გამოსაძებნად და ამ საქმის შესამუშავებლად ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც სექტემბერში საბჭოს უნდა წარუდგინოს თავისი მოხსენება და 3. ეპატიოს ქალაქის მცხოვრებთ დასაფასებლისა და სხვა გადასახადების დარჩენილი ფული, სულ 20,000 მანეთამდე. ვაცნობებ ყოველსავე ამას თქვენ მაღალ აღმატებულებას და გთხოვთ უქვეშევრდომილესად მოახსენოთ მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოოზ მე-II ალექსანდრეს ძეს".

◆ ტფილისის ხელოსნო საზოგადოების ამქრებმა ბაირაღებითა და ნიშნებით გუშინ ხელოსანთა თანადასწრებით ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში თავი მოიყარეს და გადაიხადეს პარაკლისი **მემკვიდრე ცესარევიჩის** ალექსეი ნიკოლოოზის ძის დღეგრძელობისათვის.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, **მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების** გამო ორის დღით გაანთავისუფლოს გამგეობის მოხელენი.

◆ ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, მეორე კრება ჰქონდათ იმათ, რომელთაც განიზრახეს ამხანაგობის დაარსება მომავალ სეზონში **ქართულ წარმოდგენების** გასამართავად. ამხანაგობაში წევრად ჩაწერის სურვილი უკვე გამოუცხადებია 35 კაცს. საწევრო ფული 50 მანეთია, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. კრებამ განიხილა პროექტი პირობებისა თეატრის დაქირავების და ურთიერთ-შორის ხელშეკრულობის შესახებ და აარჩია სამი კაცი (ზ. ერისთავი, შიო დავითაშვილი და ლევ. გაბაშვილი) საწევრო ფულის შესაგროვებლად. კრებამ გადასწყვიტა, გარდერობი და პიესები, რომელთაც შეიძენს ამხანაგობა სეზონის განმავლობაში, გადასცეს სრულს საკუთრებად დრამატიულ საზოგადოებას. საზოგადოებისავე სასარგებლოდ იქმნება, თუ რამ მოგება დარჩება ამხანაგობას. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება სარეპერტუარო კომისიისა. კომისიის აზრით, ხუთშაბათობით აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იქმნას სრულიად ახალი პიესები. კომისიამ წარუდგინა კრებას სია 30 ახალის პიესისა, რომელთა წარმოდგენაც მიაჩნიათ საჭიროდ. პიესებში ზოგი უკვე გადმოთარგმნილია, ზოგი-კი უნდა გადმოითარგმნოს. პიესების არჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იდეიურ პიესებს. 7-8 პიესა ორიგინალი იქმნება, დანარჩენი თარგმანი. კრებამ მოიწონა კომისიის მოხსენება და დაავალა მას, მოიწვიოს მთარგმნელები უცხოეთის პიესების გადმოსათარგმნელად. კრებამ მოილაპარაკა აგრეთვე სეზონის დაწყების შესახებ. წარმოდგენები დაიწყება 20 სექტემბერს, ხოლო რეპეტიციები ერთის თვის წინ, რომ რამდენიმე ახალი პიესა დამზადდეს წინ დაწინვე. წარმოდგენები კვირაში ორჯელ იქნება.

◆ ტფილისში შესდგა **კომისია ქართულ სიტყვების შესაგროვებლად და ლექსიკონის გამოსაცემად**. ამ კომისიას ამ დღეებში ორი სხდომა ჰქონდა, რომელზედაც, სხვათა შორის, დანიშნეს როგორც ტფილისსა, ისე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში სიტყვების შესაგროვებლად ქართულ ენის მცოდნე პირები. ამათ დაეგზავნებათ დავთრები სიტყვების შესატანად. შრომის ფასად თითო სიტყვაზე თითო შაური გადადებულა. საქმის მოსაწყობად ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ-ჯერობით ათი თუმანი გადასდო. თავ. გრ. დიასამიძემ უსასყიდლოდ დაუთმო სადგომი კრებების გასამართავად და დავთრების დაბეჭდვაც თითონ იკისრა. საქმის წარმოება იკისრა ბ-ნმა დავით კარიჭაშვილმა.

◆ რკინის გზის იმ მოსამსახურეთა ოჯახებს, რომელნიც იმიერ-ბაიკალის გზაზე გაიგზავნენ, ნახევარი ჯამაგირი აქ მიეცემათ. ამისათვის-კი საჭიროა, რომ რკინის გზის გამგეობამ იცოდეს, ამა თუ იმ გაგზავნილ მოსამსახურეს ოჯახში რამდენი სულია. ამ ცნობების შესაკრებად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ მისწერა დაბა-ქალაქებსა და სოფლებს და შეეკითხა გაგზავნილთა ოჯახების შესახებ. სამწუხაროდ, მაზრის მოხელენი ისე გვიანა ჰგზავნიან ცნობებს, რომ თხოვნის განმეორებაც-კი დასჭირდა რკინის გზის გამგეობას.

◆ 4 აგვისტოს ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან **იმიერ-ბაიკალის გზაზე** წავიდა ცხრა სადგურის თანაშემწე.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** 28 დღით, შესასვენებლად, სამსახურს თავი დაანება. გუბერნატორის თანამდებობას აასრულებს ვიცე-გუბერნატორი.

◆ **ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში** განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23—27 აგვისტოს. მისაღები ეგზამენები მოსამზადებელსა და პირველ კლასებში მოხდება 26—28 აგვისტოს, დანარჩენ კლასებში, თუ ვაკანსიები გაიხსნა,—27-28 აგვისტოს. თხოვნები მიიღება 21 აგვისტომდე.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მოსამსახურენი**, რომელნიც წელს შემოდგომაზე იქმნებიან გაწვეულნი კენჭის ამოსაღებად, არ გაიგზავნებიან სამსახურში იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზე.

◆ **ტფილისის დედათა მეოთხე გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები იქმნება მხოლოდ მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებასა და მეოთხე კლასში. ეგზამენები მოჰხდება 23-27 აგვისტოს.

◆ ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ **საყასბოს საქმეები** ამ ჟამად ძალიან ცუდად მიდის, რადგან ყველა ნაწილის უფროსი ბეითალი ცალკე განკარგულებებს იძლევა, რის გამო მუშებსა და უფროს მოხელეებს შორის უსიამოვნება ხდებაო. ამის ასაცილებლად, ინსპექტორის აზრით, საყასბოს უფროსად საჭიროა დაინიშნოს ერთი კაცი, რომელსაც ჩაებარება მთელი საქმის წარმოება. ინსპექტორმა ასეთ თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა ნ. ა. კანცელმახერი.

◆ როგორც **ახალ-ციხიდან გვატყობინებენ**, იქ შემდგარმა სასანიტარო კომისიამ მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით ამ დღეებში მოახდინა საზოგადო კრება და გამოარკვია ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობის წინააღმდეგ. თავისი დადგენილება ამ კომისიამ გუშინ, 5 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორს წარმოუდგინა დასამტკიცებლად.

◆ გუშინ, 5 ივლისს, ესენტუკიდან ტფილისს **დაბრუნდა საქართველოს ექსარხოსი**.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ გუშინ 150 ბილეთი გაუგზავნა ტფილისის ქალაქის გამგეობას მოხელეთათვის დასარიგებლად და სთხოვა, ყველა ის ბილეთები, რომელნიც დაურიგდა ამას წინად მოხელეებს, 5 აგვისტოდან გაუქმებულია და უნდა უკანვე დაუბრუნდეს საზოგადოებასაო.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ივლისს: 1. სოფ. ნორდევანის მცხოვრებთ ნორდევან თათაროვს, მარტიროს სტეფანოვს და სხვ. მოუტაცნიათ სოფ. ქუშჩის მცხოვრები მაირამ მეირაბომეი; 2. სოფ. ყაჩაგანის მცხოვრებნი ძმანი ალი და ყაზუმ ყურბან-ოღლი ძაღლების გულისათვის წაჩხუბებულან; ჩხუბის დროს ალის ხანჯლით მოუკლავს თავისი ძმა ყაზუმა; 3. სოფ. გერგერში ჩამოწოლილა მიწის ზვავი და მოუყოლებია ქვეშ სუმბათ გევონდოვი და არამ ბალოევი, რომლის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ; 4. სოფ. ბაზავლის მცხოვრები კიაზუმ ვალი-ოღლისა და იმავე სოფელში მცხოვრებს ჰასან ისმაილ ოღლის ჩხუბი მოსვლიათ; ჩხუბში ჰასან ისმაილ-ოღლიმ ხანჯლით მოჰკლა კიაზუმ-ვალი-ოღლი; მკვლელი შეიპყრეს; 5. სოფ. ანდანში კოგოს ტუჩკოვმა ჩხუბში რევოლვერით დასჭრა ამავე სოფლელი პეტრე მურადოვი; 6. სოფ. უზუნლარში მარტიროს თამაზოვმა რევოლვერით დასჭრა სასიკვდილოდ მიკიჩა მამაჯანოვი; 7. სოფ. ჯელალ-ოღლში მიწის ზვავმა ქვეშ მოიტანა და მოჰკლა 7 წლის მწყემსი ყურბან-იახშიბეკ-უსუბოღლი.

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურც." მე-2574 ნომრის ფელეტონში „სკოლა და ჰიგიენა" დაბეჭდილია: „სკოლის კარგ ოთახად უნდა ჩაითვალოს სიგრძით 14—$15^{1}/_{2}$ არშინიანი, სიგანით 10 არშ. და სიმაღლით 11 არშინიანი ოთახი". უნდა იყოს: „სკოლის კარგ ოთახად უნდა ჩაითვალოს სიგრძით 14 არშინიანი, სიგანით,—10 არშ. და სიმაღლით—$5^{1}/_{2}$ არშინიანი ოთახი". დაბეჭდილია სიტყვა „форка", უნდა იყოს—фортка."

რუსეთის ქრონიკა

◆ ვარშავიდან სწერენ გაზ. „ს.-პეტ. ვედ."-ს. ერთმა ადგილობრივმა მექარხნემ განცხადება დაბეჭდა, რომლითაც იწვევდა მუშებს თავის ქარხანაში სამუშაოდ. იმ დღესვე უსაქმოდ დარჩენილი მრავალი მუშა მისულა მასთან და ისე გამწვავებულა მეტოქეობა მუშათა შორის, რომ ბევრს გამოუცხადებია, დღეში 12 კაპ. ქირა მოგვეცით, ოღონდ რამე სამუშაო მოგვეცითო.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობამ გამოაცხადა პეტერბურგში, რომ დროებით მოსპობილია გასაგზავნად ფულიან წერილებისა და ნივთების მიღება შემდეგის ადრესით: ინკოუს, შანხაიგუანს, პორტ-არტურს, დალნის, ტალიენვანს, ბიძივოს და ცინჩოუს. უბრალო და „ზაკაზნოი" წერილები, რომელთაც პორტ-არტურის ადრესსი აწერიათ, ტროიცკოსავსკში გაჰგზავნიან.

◆ უწმ. სინოდმა შემდეგის განკარგულებით მიმართა რუსეთის ეპარქიებს: 1) თხოვნა იმ პირთა, რომელთაც იმრუშეს და ამის გამო გაეყარნენ მეუღლეთ და ხელ-ახლად დაქორწინების ნებას ითხოვენ, უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს ადგილობრივმა საეპარქიო მთავრობამ. 2) ამგვარის თხოვნის წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ გაყრილ მეუღლეს, რომელმაც, არსებულ საეკლესიო კანონთა თანახმად, გადაიხადა 7 წლის ეპიტიმია. ამ ვადის შემცირება შეუძლია ეპარქიის გამგე ეპისკოპოზს იმ შემთხვევაში, თუ მრუში მეუღლე დაამტკიცებს, რომ გულ-წრფელად მოინანია თავისი ცოდვა. ვადის შემცირებამ ორ წელიწადს არ უნდა გადააცილოს. 1) ხელახლად დაქორწინების ნება მხოლოდ მაშინ მიეცემა გაყრილ მეუღლეს, როცა იგი წარადგენს ადგილობრივ ბლაგოჩინისა ან კონსისტორიისაგან დამოწმებულ საბუთს იმის შესახებ, რომ ამა და ამ მღვდლის ზედამხედველობის ქვეშ გამოიარა 7 წლის ან შემცირებულ ვადის ეპიტიმია და აგრეთვე პირს უწმ. სინოდის დადგენილებისას მეუღლეთა გაყრის შესახებ.

◆ გამოცხადებულია ახალი წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეცეთ სამშობლოში დროებით ან სამუდამოდ დაბრუნების ნება იმ პირთ, რომელნიც ცუდ-ყოფაქცევის გამო განძევებულ იქმნენ სასოფლო ყრილობათა დადგენილებით. დროებით დაბრუნების მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს იმ გუბერნიის უფროსს, სადაც ამ ჟამად ცხოვრობს. გუბერნატორ

შეეკითხება იმ გუბერნიის უფროსს, საიდანაც განძევებულია მთხოვნელი და შემდეგ გადასწყვეტს საქმეს. დაბრუნების ნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემენ მთხოვნელს, თუ იგი კარგად იქცეოდა ახალ ადგილზე და თუ იმის მიღებაზე თანხმობას გამოაცხადებს სასოფლო ან ვოლოსტის (საზოგადოების) ყრილობის უმრავლესობა. სამშობლოში მუდმივ ცხოვრების ნებას მხოლოდ 5 წლის შემდეგ მისცემენ იქ დაბრუნებულ მთხოვნელს, თუ ამ ხნის განმავლობაში კარგად იქცეოდა და თუ იმის მიღებაზე თანახმა გახდება სასოფლო საზოგადოება.

◆ პიატიგორსკში განუზრახავთ ღარიბ სტუდენტებისათვის სავადმყოფოს გამართვა.

◆ გამოქვეყნებულ ცნობებით რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში 40 ათასამდე სტუდენტი ითვლება.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგში განუზრახავთ ბავშვებისათვის ფიზიკურად სავარჯიშო მუზეუმის დაარსება, რომლის გამგედ იქნება ცნობილი პროფესორი ფიზიოლოგი პ. რ. თარხნიშვილი.

◆ 15 აგვისტოს დაიწყება ბაიკალის გარეშემო რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა მატარებელთა.

◆ რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელთა გარდა, რომელიც სახელმწიფო და აგრეთვე კერძო რკინის გზების ხარჯით ინახება, გადაწყვეტილია გაიხსნას რკინის გზებზე აგრეთვე საერო განათლების სამინისტროს სკოლები სხვა-დასხვა უფლებებით.

პრესსა

„მოსკოვსკ. ვედ.“-ს (№ 210) აზრით, სახელმწიფო დანაშაულობათა მოსასპობად საჭიროა სასჯელის გაძლიერება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ხშირდება სახელმწიფო დანაშაულობა და სხვა და სხვა წარჩინებულ კაცთა მკვლელობაო.

თუ რომელიმე დანაშაულობა უფრო და უფრო ფეხს იკიდებს, იმის მოსასპობად ერთად-ერთი საშუალებაა, სახელდობრ—სასჯელის გაძლიერება. გ. პ. პლევეს მოკვლა და სხვა ამგვარი ფაქტები აშკარად მოწმობენ, რომ საიდუმლო აგიტატორთა ბრბო გაძლიერდა და ეს ბრბო ტერრორის იმავე სისტემას დაადგა, რომელსაც ადგნენ ტერრორისტები იმპერატორ ალექსანდრე მეორის მეფობის ბოლო დროს. თუ საქმე ასეა, აშკარაა საჭიროა სისხლის სამართლით სასჯელის გაძლიერება სახელმწიფო დამნაშავეთათვის.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს, რომ რუსის კანონით, სუმბუქად ისჯებიან განსაკუთრებით დამნაშავეთა ამხანაგები და წამქეზებლები, ისინი, ვინც შეთქმულებებს, საიდუმლო ყრილობებს და სხვა ამ გვარ საქმეებს სჩადიანო.

⁂

უკვე ვწერდით, რა გაჭირვებაში ჩავარდნენ იმათი ოჯახები, ვინც ომის გამო ჯარში გაიწვიეს. ეხლა, როგორც „ნოვოსტი“ გადმოგვცეს, ამავე მიზნით მუშა ხელიც საშინლად შემცირებულა ციმბირში. ყველგან მარტო ქალები მუშაობენ თურმე.

ამ ჟამად, —სწერს კორესპონდენტი,—ომსკსა, ტომსკსა და ციმბირის სხვა ქალაქებში სამუშაოებზე მამა კაცების ნაცვლად ყველგან ქალები არიან. სახლების აშენების დროს ქვას, ქვიშას, კირს კალატოზებისათვის თითქმის მხოლოდ ქალები ეზიდებიან. ბევრგან ქალები კალატოზის მაგიერობასაც სწევენ.

ტფილისის ქალაქის საბჭო

საგანგებო კრება.

ეს კრება მოხდა 4 აგვისტოს მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრო 50 ხმოსანი. კრების დაწყებამდე გადახდილ იქმნა პარაკლისი ახლად დაბადებულის ხელმწიფე მემკვიდრისა და სამეფო სახლეულობის დღეგრძელობისათვის. შემდეგ დაიწყო კრება. მოურავის მოადგილემ აცნობა საბჭოს შინაარსი ქალაქის გამგეობის 31 ივლისის დადგენილებისა იმის შესახებ, თუ რითი უნდა აღნიშნოს თვით-მმართველობამ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღე. მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ გამგეობამ ამისთვის სასურველად სცნო პოლიტეხნიკუმის დაარსება. მომავალ პოლიტეხნიკუმს მემკვიდრის სახელი დაერქმევა. თუ უმაღლესი მთავრობა ქალაქის საბჭოს შუამდგომლობას შეიწყნარებს, გამგეობის აზრით, პოლიტეხნიკუმისათვის უნდა გადაიდოს ყველა ის ფული, რომელიც შეკრებილია უნივერსიტეტის დასაარსებლად. ქალაქის გამგეობას დაუდგენია: 1. გამოუცხადოს საბჭომ მის იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობანი ტფილისის მცხოვრებთა მხრივ და სთხოვოს, ნება დართოს, რომ პოლიტეხნიკუმს ტფილისში ეწოდოს სახელი ალექსისა; 2. პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის საჭირო თანხის გამოსაძებნად და აგრეთვე მთელის საკითხის შესამუშავებლად არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, და 3. ეპატიოს ქალაქის მცხოვრებთ დასაფასებელ და ცხენებზე გაწერილ გადასახადების დარჩენილი ფული. ეპატიოთ ფული აგრეთვე იმათ, რომელთაც დედათა სამკურნალოში ეთვნისთვის არ გადაუხდიათ. მცხოვრებთ აღნიშნულ გადასახადების დარჩენილი ფული უნდა ეპატიოთ 20,000 მან. თუ ვის რამდენი ეპატიოს ფული, ამის გამორკვევა მიენდობა ქალაქის გამგეობას. საბჭომ ერთხმად მიიღო ქალაქის გამგეობის დადგენილება და კომისიის წევრებად აარჩია თავ. გ. მ. თუმანოვი, ა. ს. ბაბოვი, რ. ა. იოანესიანი, ი. მ. ალიხანოვი, ვ. ლუნკევიჩი და ი. გ. ევანგულოვი.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა გამგეობის მოხსენების განხილვას პაპკოვის წისქვილის შესყიდვის შესახებ. ქალაქის გამგეობას 2 აგვისტოს გადაუწყვეტია, გადასდოს 45,000 მან. აღნიშნულ წისქვილის შესაძენად, დაანგრიოს, მტკვრის ტოტში გაყვანილი კედელი და შეუდგეს ტოტის გასუფთავებას. კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, გადასდოს ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად შენახულ თანხიდან 50,000 მან.; აქედან 45,000 მან. მისცეს წისქვილის პატრონს, ხოლო 5,000 მან, მოახმაროს მტკვრის ტოტის გასუფთავებას. შემდეგ ნასყიდი ადგილი უნდა დაგირავდეს რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში და ამით შეივსოს ქუჩების მოსაკირწყლავი თანხა.

წერილები

ს. ბუქის-ციხე (გურია). „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“, სწორედ ასე მოგვივიდა ციხეელებს. ქონებრივ დაქვეითებასთან ერთად ახალი უბედურება გვეწვია. საძოვარ ადგილების უქონლობის გამო როგორც ჩვენ, ისე მახლობელ საზოგადოების მცხოვრებნი იძულებულნი ვართ ივნისის პირველ რიცხვებიდან გავგზავნოთ ყველა შინაური პირუტყვი მახლობელ სურების მთაზე. წელს აგერ ოცი დღე იქნება, რაც მთაზე საქონლის ჭირი გაჩნდა და მუსრს ავლებს როგორც ჩვენს, ისე მოსულ მეგრელების ჯოგს. წავიდა მთაზე საქონლის უფროსი ექიმი ფერშლებით და საპოლიციო დარაჯებით. ჭირი ერთი ჯოგიდან მეორეში გადადის და გულზე ხელდაკრეფილი მწყემსები უცდიან, როდის ეწვევა ეს გამანადგურებელი სენი. სიმინდის სიძვირე და შიმშილობა კარგა ხანია დაიწყო როგორც ჩვენში, ისე მახლობელ სოფლებში. ფუთი სიმინდი მანეთად ღირს და ხშირად ამასაც ვერ იშოვით. ვიმედობდით, მთიდან გასუქებული ხარები ჩამოგვივა, სადმე შორს წავალთ, სიმინდს უფრო იაფად ვიშოვითო და ამაშიაც, ჭირის გამო, იმედი გაგვიცრუვდა. სურების ტყის მოიჯარადრე ელიოტმა ტყეში მუშაობა შესწყვიტა, რადგან ჯერ-ჯერობით ნიმუშად დამზადებულის რვა ათასის ხის გამოტანა წყლით შეუძლებელი აღმოჩნდა.

აქაური

—

სურამი. წელს ბლომად მოვიდნენ მოაგარაკენი, ასე, რომ პატარა ქოხებიც კი არ დარჩენილა გაუქირავებელი. აქ ბანაკად ოთხი პოლკია და, რასაკვირველია, დიდ ფულს დატოვებენ სურამში. სანოვაგე შედარებით წასულ წლებთან ძვირია. ყასბების აღდგომაა ამ სამის თვით. ვითომ ხარის ან ძროხის ხორცს იშოვნით თუ? ბებერი კამეჩები აღარ გაუშვეს დაუკლავი. მადლობა ღმერთს, ერთმა კაცმა გააღო საყასბო, საცა იშოვნით მშვენიერ ხორცს ხარისას, ძროხისას და ბატკნისას. ამიტომაც ბევრი ხალხი ეტანება. მოაგარაკენი გასართობის შესახებ ვერ დაგვემდურებიან, იმდენი გასართობია. მუსიკასაც უკრავენ სამს ადგილას, ასე რომ არ იციან, სად წავიდნენ. ერთმა აქაურმა მცხოვრებმა ჩიკვაიძემ სურამის მახლობლად გამართა სასეირნო პარკი (როტონდა) და სახელად უწოდა „პორტ-არტური“. დიდი ხალხი მიიზიდა. წარმოდგენები და კონცერტები სულ გაბმულია. ამას წინად, 10 ივლისს, აქაურ სცენის მოყვარეებმა, ნინო ჩხეიძის დახმარებით, წარმოადგინეს აქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ „არსენა“ ყაზბეგისა. წარმოდგენამ რიგიანად და მწყობრად ჩაიარა. წმინდა მოგება დარჩა 70 მან. ამით გული არ გაიტეხეს ყმაწვილებმა და მეორედ 28 ივლისს გამართეს საბავშო საღამო წარმოდგენით. ესეც მწყობრად ჩაატარეს. შემოსავალი წმინდა დარჩა 120 მან. კაპ. სურამში მარტო ერთ დიდ ქუჩას რწყავენ და ჰგვიან და სხვა ქუჩების დარდი არა აქვთ. ქუჩას აქეთ-იქით წყალი მოდის, მაგრამ რაც-კი ნაგავი და ჩეჩქია, სულ შიგა ჰყრიან. მეხილეებისაგან ხომ გატენილია დამპალ ხილით რუები. ვინ არის პატრონი? ღამე ფარნები გაჩაღებულია, საცა დიდი პირები ცხოვრობენ, სხვების დარდი-კი არავისა აქვს.

სურამელი ვანო.

—

სოფ. დიღომი (ქართლი). ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილი აკეთებს თურმე მშვენიერს ხიდს, რომელიც თეთრ გიორგის ძველ ეკკლესიასთან მიმავალ გზას ამოკლებს. როგორც ამბობენ, ეს ძველი ეკკლესია სარაჯიშვილთ გვარისაგან ყოფილა აგებული. დღეს წირვა-ლოცვა არ არის, მაგრამ გიორგობას ბევრი მლოცველი მიდის იქა. გარდა ამისა, გაღმა მხარეს დიდძალი სახნავ-სათესი ადგილები თურმე აქვთ გლეხებს და ძალიან გაადვილებული ექნებათ იქით მისვლა-მოსვლა ამ ხიდის წყალობით. სოფელი რიგ-რიგად ქვას თურმე ეზიდება ამ ხიდისათვის, დანარჩენ ხარჯს ბ-ნი სარაჯიშვილი ეწევა. წელს დიდძალი ხალხი მოვიდა იქ საგარაკოდ. ღვინის მოსავალი კარგია, მით უმეტეს ვინც უწამლა, მშვენივრად ასხია ვაზსა. ეხლა კალოობაა და, როგორც მოგეხსენებათ, მთელი სოფელი ბზის კორიანტელშია გახვეული. გარდა იმისა, რომ თვალში ვეღარ გამოუხედნია კაცს, სხვა მხრივაც მავნებელია ესა: სოფლად მიფენილი ბზე წვიმისაგან ლპება, ობდება და შმორდება, რაც ამ ხოლერის მოლოდინში მაინც ერთი ორად საშიშია. კარგი იქნება, დიღომმა, სადაც 700 კომლი მცხოვრებია, სოფელს გარედ გაიკეთოს კალო, როგორც მცხეთასა და ძეგვში, აგრეთვე სხვა ყველა მჭიდროდ დასახლებულ სოფლებშია.

—

საჭილაო (იმერეთი). 29 ივლისს აქ შემდეგი უბედურება მოხდა. ანტონ ფილავას თავის 15—16 წლ. მოჯამაგირე (გლეხი) ურმით გაუგზავნია ხერებრიაკოვის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ხეების წანაჭრელ თავების მოსატანად. როდესაც მოჯამაგირემ ურემი დატვირთა და გზა გაიარა, ვიწრო ქუჩის შუა ადგილის ფერდოში ურემი ცალ გვერდზე გადაიწია; მოჯამაგირემ გადახტომა მოასწრო, მაგრამ თხრილში ჩავარდა, ზედ სავსე ურემი დააწვა და თავი გაუჭყლიტა და ორივე ხელები მოსტეხა. საბრალოს სული იმავე წამს განუტევა.

ა. მ.

—

ს. სვირი (იმერეთი). აქეთ ღვინის ფასმა ძლიერ დაიწია და თხუთმეტ მანეთამდის ჩამოვიდა, მაგრამ საკმაო მყიდველი მაინც არ არის. ფასის დაცემის მიზეზად ათას რასმეს ასახელებენ, სხვათა შორის, ომიანობასაც. დიდ გაჭირვებაში არიან მცხოვრებნი; არ იციან, რითი დააკმაყოფილონ მოთხოვნილებანი. ღვინის სიიაფეს ზედ დაერთო სიმინდის სიძვირეც, ბათმანი (8 ოყა) ოთხ აბაზამდის ავიდა. საზოგადოდ ჩვენში სიმინდის მოყვანას არ ეტანებიან, რადგან საყანე ადგილები ვენახებად აქციეს, იმედი ჰქონდათ, ღვინის ფასი უფრო აიწევდა. აქეთ ამ ცოტა ხანში სამი მკვლელობა მოხდა. პირველი—ისმეილ ღიბრაძე ნახეს მკვდარი გზის პირად; საბრალოს სამი ტყვია ჰქონდა თავში მოხვედრილი; სიკვდილის შემდეგ ხეზე აეყუდათ. არ იციან, მკვლელი ვინ არის. მახლობელ სოფელში ერთს ჭურჭლის გამყიდველს ჭურჭელში აღებული სიმინდი მიჰქონდა თურმე სახლში, დაჰხვედრია ვიღაც უცნობი კაცი და სიმინდის წართმევა დაუპირებია, დაურტყამს კეტი თავში და მეჭურჭლე იქვე მოუკლავს. აქ სამი თუ ოთხი გლეხი დიდ შიშშია. ამ გლეხებს ფულიან კაცების სახელი აქვთ გავარდნილი და ვიღაცეებმა (ვითომ ყაჩაღებმა) წერილით აცნობეს, ამა და ამ ღამეს გესტუმრებით და ფული მზად დაგვახვედრეთ, თორემ ამოგწყვეტავთო. როგორც მითხრეს, შიშისაგან ღამე ზოგი ბოსელში იმალება, ზოგი საღორეში და ზოგიც სხვაგან, რომ ყაჩაღებმა არ მიაგნონ. ერთმა ამათგანმა მითხრა, ფული არა მაქვს, ხოლო გასესხებულ ფულის ბარათებს არ დამჯერდებიან, ამისათვის ფული უნდა ვივალო და მართლა რომ მოვიდნენ, ეგება აღარ მომკლანო.

იუსტინე

—

ს. ჭრებალო (ლეჩხუმი). ჭრებალოს მახლობლად მდებარე სოფლები ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. გაზაფხულზე ძლიერი გადაუღებელი წვიმები იყო, ზაფხულში გვალვა დადგა, ამას ზედ დაერთო ძლიერი ზენა და ქვენა ქარი, და ახლად ამოსული სიმინდი სულ მიწაში ჩასწვა და ჩათუთქა. პურიც ვერ იყო ხეირიანი, ბაღეულობაზედაც ძლიერ ცუდად იმოქმედა გვალვამ. ყველა ამის გამო სანოვაგის ფასმა ძლიერ აიწია: ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობს ჩვენს სოფელში 80—90 კაპ.; სიმინდი კი 70—80 კ., როდესაც წინა წლებში 40—50 კ. იყო. ფუთი პურის ფქვილი ხომ მამა სისხლად იყიდება: ფუთი 1 მან. 50 კაპეიკამდე ავიდა, შარშან კი 70 კ. 80 კ. იყო. სიძვირეს ვიღა დაეძებს, როდესაც სასყიდელიც აღარ იშოვება. ქურდობა ეხლა ჩვენშიაც ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა. ამას წინად ს. ბაჯს (რაჭაშია, ჭრებალოს გვერდზე) გაძარცვეს ერთი ოჯახი, საიდანაც წაიღეს 600 მან.

ვ. ასკ-რიონელი

—

სოფელი ობჩა (იმერეთი). აქ შარშანდელი სიმინდი ბევრს შემოელია. სიმინდის სიძვირეს მცხოვრებნი იმ ზომამდე მიუყვანია, რომ ბაღდათიდან დამცხვარ პურს ეზიდებიან ფუთობით. ყოფილა მაგალითი, რომ ოთხ აბაზად გაყიდულა ბაღდათში ბათმანი სიმინდი. ეხლა ნიხრია დაწესებულია და ბათმანი სიმინდი სამ აბაზზე ზევით არ იყიდება. სიმინდის მოსავალი წრეულაც ნაკლები იქნება, რადგან უწვიმობის გამო დროზე ვერ დასთესეს ყანები; ზოგს დაუთესელიც დარჩა. ბევრ ადგილას ყანებს მხოლოდ ეხლა ავლებენ პირველ თოხს. ღვინის მოსავალი წარსულ წელს კარგი იყო, წრეულაც, ვისაც ამერიკულ ვაზზედ დამყნილი ვენახი აქვს, კარგი უნდა იქნეს. ფასი ღვინისა კი ძალიან დაეცა: წინად რომ საპანე კარგი ღვინო ოცდა ათ ოცდა ხუთად იყიდებოდა, ეხლა ხუთმეტსა და ოც მანეთს იძლევიან, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენი ღვინო შორს არ მიდის და ბათუმსა, ქუთაისსა, ფოთსა და ყვირილას შუა ტრიალობს. ტფილისში ცოტა ხანია, რაც ფეხი მოიკიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოთლზედ წარწერით თუ შეატყობთ, თორემ გემო სულ სხვანაირი აქვს. ალბად ურევენ რამეს. იმერული ღვინო, რა სოფლიდანაც უნდა იყოს, ქალაქის ადგილზედ სვირის სახელით ინათლება. სვირში ღვინო უფრო მეტი მოდის, ვიდრე სხვა სოფლებში, მაგრამ რაც შეეხება ხარისხს, არის სოფლები, მაგალითად, ობჩა, კვალითი, სადაც ღვინო თითქმის უკეთესი დგება. ჩვენში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ბანქოს თამაში. მოთამაშენი ჩაჯდებიან ხოლმე სიმინდებში, ისიც სოფლის კანცელარიასთან, და აღამებენ დღეს. თამაშობს უფრო ახალგაზრდობა.

ობჩელი

—

ქალაქი ტომსკი. ტომსკში ორი უმაღლესი სასწავლებელია: უნივერსიტეტი და სატეხნოლოგო ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი 1902 წელს დაარსდა და ჯერ ინსტიტუტში კურსი არავის დაუმთავრებია. უნივერსიტეტში კი პირველად 1888 წელს საექიმო ფაკულტეტი იყო დაარსებული და მხოლოდ 1896 წელს დაარსდა იურიდიული. ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში საექიმო ფაკულტეტი სულ ხუთას კაცა გაუთავებია. ამათში მხოლოდ სამი ყოფილა ქართველი; დანარჩენნი იყვნენ რუსები და ებრაელები რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან. საექიმო ფაკულტეტი ტომსკში რიგიანად არის მოწყობილი, მაგრამ ქართველობა რაღაც მიზეზით ერიდება, სამაგიეროდ იურიდიულ ფაკულტეტზე ათი, თორმეტი კაცს ყოველთვის არის, თუმცა მართალია, ყველა ამათგანი ადგილობრივ უნივერსიტეტში კურსს არ ათავებს; უმეტესი ნაწილი რუსეთის სხვა უნივერსიტეტში მიდის. ამ სამი წლის განმავლობაში 148 კაცში ოთხმა ქართველმა გაათავა. სხვათა შორის, წელს კურსი დაასრულა და პირველ ხარისხის დიპლომი მიიღო ბ-ნმა ალექსანდრე ჟორდანიამ.

ანდრია

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად უმოწყალესად უბოძა იაპონელებთან ბრძოლის დროს გამოჩენილ სიმამაცისათვის ორდენები: 1 ხარისხის წმ. სტანისლავისა ხმლებით—პორტ-არტურის ციხის კომენდანტს სმირნოვს, აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მესამე დივიზიის უფროსს კაშტალინსკის და კვანტუნის ციხის არტილერიის უფროსს ბელოის; მესამე ხარისხის წმ. ვლადიმირისა ხმლებით—აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მეშვიდე დივიზიის უფროსს კონდრატენკოს.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). არა ოფიციალურად იუწყებიან, პორტ-არტურის კომენდანტმა უპასუხა იაპონელთა წინადადებაზე, რომ იგი ზრდილობიანად მადლობას უცხადებს იაპონელ უფროსს მშვიდობიან მცხოვრებთათვის დაპირებულ ქალაქიდან გასვლის ნებართვისათვის, ხოლო გადაჭრით აცხადებს, რომ არ დაჰნებდება იაპონელთ.

კობე. („რეიტ. სააგ.“). იმ წერილების რიცხვში, რომლებიც აკლია გემ „პრინც ჰენრიხი“-დან წაღებულ ფოსტას, უნდა ყოფილიყო იაპონიის აგენტებისაგან რუსეთში გაგზავნილი რამოდენიმე წერილი.

ტიანძინი. („რეიტ. სააგ.“). ადმირალმა სიმ გაგზავნა ქაღალდი სამსახურიდან გადადგომის შესახებ, გამოაცხადა, მზად ვარ გადავიტანო სასჯელი, რადგანაც ხელი ვერ შეუშალე „რეშიტელნი“-ს დაჭერასო. ავად გამხდარი იუანშიკაი კიდევ უარესად გახდა ამ შემთხვევის შემდეგ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). იაპონელები უახლოვდებიან პორტ-არტურს. მარჯვენა ფრთა გოლუბინაია ბუხტის მახლობლად არის; შუა ნაწილი მიდის პალინჩუანიდან, ქალაქიდან 2 მილის სიშორეზე. მგზავრები გემ „დელციმა“-სი, რომელიც გაჩერდა პორტ-არტურის პირდაპირ გაშლილ ზღვაში, უყურებდნენ როგორ უშენდნენ ზარბაზნებს გოლუბინაია ბუხტიდან.—ამაღელვებელ სცენას წარმოადგენდა დასაფლავება ზღვის ტალღებისაგან გამორიყულ მატროსისა, რომელმაც გემ „რეშიტელნი“-დან ხუთი იაპონელი გადაისროლა ზღვაში, სანამ გულში ტყვია მოხვედროდა. დასაფლავების დროს „რეშიტელნი“-ს უფროსი, მიუხედავად იმისა, რომ ტყვია ჯერ არ გამოუღიათ დაჭრილ ფეხიდან, გამოვიდა კოჭლობით ფრან-

გთა საავადმყოფოს ეზოში, ორი მეზღვაური უდგა მხრებში. უფროსმა დაადვა კუბოს გვირგვინი და ქვითინი წასქდა სასაფლაოსთან. ჩირელების მეზღვაურთაგან შემდგარმა საპატიო დარაჯთა რაზმმა გაისროლა თოფები. დასაფლავებას დაესწრნენ ინგლისის და რუსეთის კონსულები, რომლებმაც მოასწრეს პორტ-არტურიდან გამოსვლა.

ცინდაო. („რეიტ. სააგ.“). პორტ-არტურიდან მოსული ამერიკელი, რომელიც იქ ხუროთ იყო, ამბობს, რომ მიწაში ჩაწყობილმა ნაღმებმა ბევრი გაავლეს იაპონელებს; რამოდენიმე ათასი კაცი ნაკუწ-ნაკუწადაა ქცეული. ნაღმების მეოხებით განაგრძობენ ციხის დაცვასო.

შანჰაი. („რეიტ. სააგენტო“). რუსეთის საგენერალო კონსულმა შეუთვალა ტაოტაის, რადგანაც ჩვენი მთავრობისაგან არა მაქვს მიღებული ინსტრუქცია, ამისათვის კრეისერ „ასკოლდის“ და ნაღმიან გემის „გროზოვოის“ დაუყოვნებლივ იარაღის აყრის შესახებ პასუხს ვერ გაგცემთო, რადგანაც ასეთი ზომების მიღება არღვევს საერთაშორისო უფლებებსაო. 4-ს აგვისტოს ტაოტაიმ გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო ინსტრუქცია, რომლითაც კრეისერ „ასკოლდს“ და ნაღმიან გემ „გროზოვოის“ ვადა 5 აგვისტომდის ეძლევა შესაკეთებლად; თუ ამ ხანში არ მოასწრო უნდა უსათუოდ ან იარაღი აიყარონ ან გავიდნენ ნავთსადგურიდან. 5 აგვისტოს მოელიან იაპონიის ესკადრას, რადგან იაპონიამ გადასწყვიტა თავის თვალით დარწმუნდეს, გავლენ ნავთსადგურიდან თუ დაუყოვნებლივ იარაღს აიყრიან ეს გემები.

პარიზი. არგენტინის რესპუბლიკის მისსია უარყოფს იმ ხმებს, ვითომც არგენტინის რესპუბლიკას ერთ-ერთ მეომარ სახელმწიფოსათვის მიეყიდნოს ომის დროს სამხედრო გემები.

4 აგვისტო

ორანი. 500-მა მაროკკელმა იერიში მიიტანა ფრანგთა პატარა რაზმზე ორანის სამხრეთით, ფიგუიგის ახლოს. მოკლულია 45 მაროკკელი. ფიგუიგში გაიგზავნა 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი.

კარლსბადი. მოვიდა იმპერატორი ფრანც-იოსები.

ლონდონი. ტიბეტელებს გადასცეს ხელშეკრულების პროექტი.

ლხასსა. („რეიტ. სააგ.“). როგორც ასჩანს, საქმე უკეთ მიდის. დალაი-ლამა თვალ-ყურს ადევნებს საქმის ვითარებას მონასტრიდან, რომელიც ლხასსადან 8 დღის სავალზე მდებარეობს. დალაი-ლამა მზადაა გასაქცევად. ტიბეტელები უმთავრესად ეწინააღმდეგებიან ინგლისელთა მოთხოვნილებას ზარალის ზღვევის შესახებ.

მინსკი. ცეცხლმა გაანადგურა დაბა ვოლოჟინი (ვილნოს გუბ.), მინსკიდან 60 ვერსის მანძილზე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სამანუფაქტურო ქარხნების პატრონებმა საბაზრო კომიტეტის საშუალებით აძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ მიეცეთ იმათ შეღავათი თავიანთ საქონლის გასასაღებლად ფინლიანდიაში, სადაც მთელ შემოტანილ საქონლის ორი მესამედი ინგლისიდანა და გერმანიდანაა.

ბერლინი. მემკვიდრის დაბადების გამო იმპერატორმა ვილჰელმმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს გულითადი მისალოცი დეპეშა, რომელშიაც ლოცავს მემკვიდრის დედას. ხელმწიფე იმპერატორის საპასუხო დეპეშა, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა, ერთობ გრძნობიერად არის დაწერილი.

სტამბოლი. პირობით შეკრულ სახელმწიფოების ელჩებმა გუშინ უპასუხეს წერილით პორტას იმის უკანასკნელ ნოტაზე მაკედონიაში უცხოელ ჟანდარმის აფიცრების მომატების შესახებ. პასუხში უარჰყოფენ პორტის პროტესტს და დაჟინებით ითხოვენ მომატებას.

სტამბოლი. პორტას და შეერთებულ შტატებს შორის ახალი სერიოზული უთანხმოება მოხდა ამერიკის მიერ დაარსებულ სომეხთა სკოლების გამო, რომელთა რიცხვში ზოგიერთ სკოლას პორტა არა სცნობს.

5 აგვისტო

პეტერბურგი. ბიულეტენი ხელმწიფე დედოფლის ჯანმრთელობის შესახებ: „მისი უდიდებულესობა ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს სრულიად კარგად გრძნობს. მშობიარობის შემდეგი პერიოდი წესიერად მიდის. ტემპერატურა—36,6, მაჯა-88. მაღალახალდაბადებულის გამოკვება ნაყოფიერად სწარმოებს. ხელი მოაწერეს: ლეიბ-აკუშერი დმ. ოტტი, მისი უდიდებულესობის ლეიბ-ხირურგი დოქტორი გირში. 4 აგვისტო, 1904 წ. პეტერგოფი.

იაროსლავი. საბჭომ დაადგინა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღის აღსანიშნავად ხუთი სტიპენდია დანიშნოს იაროსლავის საქალაქო თავშესაფარში, ობოლ ბავშვთა აღსაზრდელად. 4 აგვისტოს 10 საათსა და 45 წუთზე წყნარად განისვენა უფლად უსამღვდელოესმა სერგიმ, არქიეპისკოპოსმა იაროსლავისა და როსტოვისამ.

ლოძი. 4 აგვისტოს გეილიხის ტყის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლმა დაანგრია კედელი და 11 კაცი იმსხვერპლა. სამი მძიმეთ დაიჭრა, რამდენიმე კიდევ სუბუქათ. ზარალი 80 ათასი მანათისაა. შენობა არ იყო დაზღვეული.

ნოვოროსსიკი კვირას სავაჭრო ბირჟა გაიხსნა. თავმჯდომარედ ქალაქის მოურავი ნიკულინი იქმნა არჩეული. ოთხშაბათს პენზაში წითელჯვრის ღვინის საწყობში გაიგზავნა ერთი ვაგონი შავი-ზღვის პირის ღვინისა, რომელიც ადგილობრივმა შავის ზღვის პირის გუბერნიის მევენახეებმა შესწირეს. არა ჩვეულებრივი გვალვაა—3 თვეა წვიმა არ მოსულა წელს. ძალიან ცუდ მოსავალს ელიან ღვინისას.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,05	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,52½	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92⅛	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88⅞	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	387	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	255¼	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	90⅛	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	180	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიის მიერ მოწვეულ ექიმებისა, რომელთაც უსასყიდლოდ სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ მცხოვრებთ. ავადმყოფთ შეუძლიანთ მიჰმართონ ერთ-ერთ ქვემოდ ჩამოთვლილ ექიმს, მაგრამ სასურველია მახლობელ ექიმებთან მივიდნენ ხოლმე.

ექიმების გვარები და ადრესები:

ალადაშვილი, ალ. სტ. მიიღებს დილით 7—9 ს., საღამოთი 8—9 ს. ეგზარხოსის მოედანი, სასინოდო კანტორა.

გედალინი, ალ. გრ. დილ. 10—11½ ს. (ცენტრ. სამკ.), საღ. 5—7 ს. ბარონის ქ., თამამშევის სახლი, № 16.

გირტცელი, ოტ. გიორ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. მიხეილის ქ. მიხეილის საავადმყოფო.

ჯანიბეგოვი, ევ. ნიკ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. სოლოლაკი, ამაღლების ქ., № 17.

ელჩიევი, მნაც. რომ. დილ. 7—9 ს., საღ. 5—7 ს. მიხეილის ქ., № 111.

ზაბლუდოვსკი, ი. მ. დილ. 10—12 ს. (ცენტრ. საავად.), საღ. 5—8 ს. სახლში, გრიბოედოვის ქ., № 40.

კასუმოვი, ნ. გ. დილ. 10—11½ ს., (კუკ. საავად.), საღამოთი 5—7 ს. სახლში, ალექსანდრეს ქ., № 36.

მირზაევი, მიხ. ივ. დილ. 7—9 ს., საღ. 7—9 ს. კრასნოგორსკის ვიწრო-ქუჩა, № 8.

საათსაზოვი, ივ. თ. დილ. 8—9 ს., საღ. 4—5 ს. ალექსეევის ქ., № 6.

თათევოსიანი, ტ. მ. დილ. 9—1 ს. (ხარფ. საავ.), საღ. 6—8 ს. სახლში. კრწანისის ქ., თაიროვის სახლი, № 11.

ხატისოვი, ნ. დ. დილის 7—8 ს., საღ. 4—6 ს. სახლში და 10—12 ს. დილით ველობრ. საავადმყოფოში. ბებუთოვის ქ., № 27.

შახ-აზიზოვი, არ. ივ. საღ. 10—12 ს., საღ. 7½—8½ ს. ჩუღურეთი. გონჩარნი ქ., № 30.

შჩერბინინა, ა. ი. დილ. 10—1 ს. (დიდუბ. საავ.), საღამოს 4—6 ს. სახლში. ბაქოს ქუჩ., № 7. (5—1)

ქუთაისის წყლის მილისა და საელექტრონო ტრამვაის, ინჟენერ ა. დ. მიხაილოვისა და კამპ. ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 22 აგვისტოსთვის, დილის 10 საათზე, გამგეობის სადგომში (ტვილისის ქუჩა, სახლი ანანოვისა) დანიშნულია **საგანგებო კრება ამხანაგობის პაის პატრონთა.**

განსახილველი საგნები:

1. ბალანსი 1904 წლის 1 აპრილისათვის; 2. გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების ვითარების შესახებ; 3. გამგეობის წინადადება საქმის განგრძობისა ან სხვათა ხელში გადაცემის შესახებ. (3—6.—1)

ქუთაისის
სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის
# გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ბანკში დაგირავებულ იმ უძრავ მამულთა გასასყიდათ, რომელთ პატრონებს არ შემოუტანიათ 1 იანვრის 1904 წლის გადასახადი ფული.

ქალაქის მამულებზე ვაჭრობა იქნება 14 აგვისტოს 1904 წ.

დაბა და სოფლებისაზე 16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორისავე რიგის მამულებზე 31 აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება ვაჭრობის დღემდის **ქუთაისს**, ბანკის კასსაში; **ტფილისს**—კომერციულ ბანკში, აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის საბანკო კანტორაში; **ბათუმს**—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო და ტფილისის კომერციულ ბანკების განყოფილებებში და **ფოთში**—სავაჭრო ბანკში. (ნ. 3—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი [illegible] ვისა, № 92, საზაფხულო ს[illegible]ნის ახლოს. (წ.—176—72)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა

პეტერბურგში,

დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ

რეზინის კალოშებისა

ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:


RUSSIAN AMERICAN INDIA RUBBER Co
ТОВАРИЩ. РОСС.-АМЕРИКАНСК. РЕЗИН. МАНУФАКТ.
1860 Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.
1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—2)

Доз. цензурою 5 Августь 1904 г.   ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა.   Электропеч. Груз. Изд. То—ва.